საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №65
2025 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 29-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილების (სსმ III, N2, 09.01.2006წ., სარეგისტრაციო კოდი 300.320.000.16.009.007.995) მე-4 მუხლში მოცემული ცხრილის 63-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

63	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ 2026 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე	13.683	32.735 (შპს „აკრიანი 2006“-ის ყოფილ სალიცენზიო არეალში 2026 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე მოქმედებს განაწილების დროებითი ტარიფი – 23.474 თეთრი/კუბ. მეტრი ოდენობით)	48.244 (შპს „აკრიანი 2006“-ის ყოფილ სალიცენზიო არეალში 2026 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე მოქმედებს ტარიფი – 38.983 თეთრი/კუბ. მეტრი ოდენობით)

“.

მუხლი 2

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფში ფასნამატის ოდენობა შეადგენს 1.000 თეთრი/კუბური მეტრი.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**დავით თვალაბეიშვილი**
კომისიის წევრი	**გივი სანიკიძე**